



მენარმე ქალთა ფონდი
Fund of women Entrepreneurs

ქალი და ბიზნესი

Woman and Business

№3

გამოცემას აფინანსებს EED - ეკლესიების
განვითარების სამსახური (გერმანია)



Publication is financially supported by
EED (Germany)

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები,
შესაძლოა არ ემთხვეოდეს EED-ს მოსაზრებებს

The views expressed in the bulletin does not
necessarily represent the views of EED

ქალი და ბიზნესი

N:3

Woman and Business

ს ა მ რ ე ვ ი

C o n t e n t

რეგიონალურ პარტნიორულ კონსულტაციაზე	⇐ 2	3 ⇒	Regional Partner Consultation
მრავალი მაგიდა მენარმა ქალთა ფონდში	⇐ 4	6 ⇒	Round Table at the Fund of Women Entrepreneurs
სხოვრება უფრო ადვილი გახდა	⇐ 8	9 ⇒	Life Has Become Easier
ჩვენი საქმიანობა	⇐ 10	12 ⇒	our activity
თქვენ გისმენთ იურისტი	⇐ 14	15 ⇒	Lawyer Listens
ბიზნეს-იდეები უკვე არსებობს	⇐ 16	17 ⇒	Business Ideas
მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად გამოიყენებენ...	⇐ 18	19 ⇒	Knowledge Received will be used in Practice...
მენარმა ქალთა ფონდის გამოცემა	⇐ 20	21 ⇒	New Edition by the Fund of Women Entrepreneurs
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში	⇐ 22	23 ⇒	Independent auditor's report
მენარმა ქალთა ფონდი (ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა)	⇐ 24	24 ⇒	Fund of women entrepreneurs Expense accountavility

ჩემიონაღუჩ ზაჩსნიოჩუჩ კონსულტაციაჲ

თბილისში CTC - ს ოფისში გაიმართა სამ-დღიანი რეგიონალური პარტნიორული კონსულტაცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები BfdW და EED. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მათ შორის იყო მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარე მერი გელაშვილი.

კონსულტაცია ემსახურებოდა ორ მიზანს: პირველი, პარტნიორებთან ერთად ახალი ორგანიზაციის, რომელიც გაერთიანების პროცესშია, როლის და მიზნის განსაზღვრა. მეორე - შუალედური და ხანგრძლივი სტრატეგიული ამოცანების შემუშავება სამხრეთ კავკასიაში მუშაობისათვის. ამასთანავე, კონსულტაციაზე განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა მონაწილე ორგანიზაციების საქმიანობის სფეროებს და მათ გამოცდილებას. მუშაობა წარიმართა როგორც ლექციური, ასევე ინტერაქტიული მეთოდებით.



შეფასება მონაწილეების მხრიდან...

პატივცემულო ფელისიტას და ილონკა!

მენარმე ქალთა ფონდის სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ რეგიონალურ პარტნიორულ კონსულტაციაზე მონაწილეთათვის.

აღსანიშნავია, რომ სამი დღის განმავლობაში მივიღეთ ძალიან სასარგებლო გამოცდილება, მქონდა შესაძლებლობა სხვა მონაწილეებთან ერთად განმეხილა მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები რეგიონის მასშტაბით.

დიდი მადლობა ამ საუკეთესო შესაძლებლობისათვის.

პატივისცემით მერი გელაშვილი

შეფასება ორგანიზატორების მხრიდან...

პატივცემულო კოლეგებო!

გვსურს კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა ჩვენს პირველ, ერთობლივ კონსულტაციაში მონაწილეობისათვის, რომელიც გაიმართა 2010 წლის 1-3 მარტს. თქვენმა მოსაზრებებმა და ადექვატურმა შეფასებებმა ეს ღონისძიება უფრო საინტერესო და შედეგიანი გახადა. თქვენგან მივიღეთ უამრავი იდეები იმ საქმიანობის ირგვლივ, რომელიც წინ გველოდება - პირველი ერთობლივი რეგიონალური დაგეგმარება, გაერთიანების პროცესი, ახალი ორგანიზაციის განვითარება და მიმდინარე დიალოგი...

საუკეთესო სურვილებით ილონკა ბოლტზე და ფელისიტას მენზი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რესპუბლიკების გუნდი

REGIONAL PARTNER CONSULTATION

Three-days regional partner consultation was held at CTC office, organized by the international donor organizations BfdW and EED. Participants of the meeting were NGOs from South Caucasus: Armenia, Azerbaijan and Georgia, including chairperson of the Fund of Women Entrepreneurs Meri Gelashvili.

The consultation aimed at two goals: first, identification of role and mission of the new organization in the process of merging, with the partners; secondly, elaboration of middle-term and long-term strategic considerations regarding the work in South Caucasus.

Additionally, issues related to sphere of activities and experience of the participant organizations were discussed during the consultation.

EVALUATIONS OF THE PARTICIPANTS ...

Dear Felicitas and Ilonka,

On the behalf of the Fund of Women Entrepreneurs, I would like to thank you for inviting on the regional partner consultation.

It is worth to mention that during the three day period I obtained very useful experience. I had an opportunity to discuss results reached and future plans in regional context.

Thank you again for the opportunity.

With Best Regards,

Meri Gelashvili

EVALUATION OF THE ORGANIZERS...

Dear Colleagues,

We wish to thank you once again that you attended our first joint consultation which took place 1-3 of March, 2010. Your thoughts and insights made this event an inspiring and fruitful encounter. You gave us a lot of ideas for the work which lies ahead of us - the first joint regional planning, the merging process and the development of the new organization and the ongoing dialogue...

With best regards

Ilonka Boltze and Felicitas Menz

Team South East Europe / Caucasian Republics



მკვლედი მაგიდა მონაწილე ქალთა ფონდში

26 თებერვალს მენარმე ქალთა ფონდმა მრგვალი მაგიდა მოაწყო თემაზე: „2009 წლის ანგარიში და 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა“.

მონაწილე სტუმრებს შორის იყვნენ ფონდის ბენეფიციარები - მენარმე ქალები, აუდიტი, იურისტი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანი იყო მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება როგორც ბენეფიციარების, ასევე საზოგადოების წინაშე, - 2009 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება და სამომავლო გეგმების დასახვა.



შეხვედრა გახსნა ფონდის თავმჯდომარემ, **მერი გელაშვილმა**. აუდიტორიას გააცნო დღის წესრიგი და შეხვედრის მიზანი. ისაუბრა სამენარმეო საქმიანობის მნიშვნელობაზე და იმ პრობლემებზე, რომელთა გადალახვა უწევთ მცირე ბიზნესის მქონე ქალებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

„მიხარია, რომ ვხედავ ახალ სახეებს, ჩვენ თანდათან ვიზრდებით, უფრო მეტნი ვხდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი ქალები დასაქმდნენ, ახალ ოჯახებს გაეზარდათ შემოსავალი. თქვენი სიმრავლე ნიშნავს სიღარიბის დაძლევის, ქალთა სიძლიერეს, დამოუკიდებლობას.“

ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარემ, ალლა გამახარიამ საზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქალები ლიდერული უნარ-ჩვევების შეძენისა და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების შემდეგ ადვილად იღებენ გადაწყვეტილებას ჩაერთონ ბიზნესში. „ქალთა წარმატებული საქმიანობა გადამდები მაგალითია სხვებისათვის. სულ უფრო მეტი ქალი იღებს გადაწყვეტილებას ჩაერთოს მცირე ბიზნესში, ჰქონდეს საკუთარი საქმე და გაზარდოს მისი ოჯახის ფინანსური შემოსავალი.“

შეხვედრაზე პროგრამით გათვალისწინებული აღწერილობითი ანგარიში წარმოადგინა კოორდინატორმა მირანდა გვანცელაძემ, რომელმაც მთელი წლის განმავლობაში ფონდის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ისაუბრა.

აღწერილობით ანგარიშს მოჰყვა ფინანსური ანგარიში. ფონდის ბუღალტერმა **ნელი კენჯიამ** შეხვედრის მონაწილეებს 2009 წლის განმავლობაში გან-

ხორციელებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების სრული ანგარიში წარუდგინა. დამოუკიდებელმა აუდიტორმა კი, თავის მხრივ გააკეთა აუდიტორული დასკვნა და ფონდის საქმიანობა შეაფასა ფინანსური თვალსაზრისით.

გამომსვლელთა შორის იყვნენ პროფესიული გადამზადების კურსების პედაგოგები, რომლებმაც ამ კურსების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათი თქმით, ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია დღევანდელ სიტუაციაში უფასოდ დაეუფლონ კომპიუტერთან მუშაობის საჭირო უნარ-ჩვევებს, ისწავლონ ინგლისური ენა, ბუღალტერია, დაზღავრების ქსოვა და ჭრა-კრვა.

საზგასმით იქნა ნათქვამი, რომ ამ პროგრამამ გაამართლა და მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. ქალბატონმა მერი გელაშვილმა მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მენარმე ქალთა ფონდი, პროექტის ფარგლებში მსგავსი კურსების გახსნას გეგმავს ფოთში და სოფელ ხურჩაში (აფხაზეთის საზღვრისპირა სოფელი).

დიანა ყურაშვილმა (პროექტის ასისტენტი) მოკლედ შეაფასა გასული წლის მუშაობა: „ნამდვილად ნაყოფიერი მუშაობა განხორციელდა. ჩატარდა ტრენინგები, შეიქმნა სამუშაო ადგილები, რომლებიც დღემდე წარმატებულად მუშაობენ. ჩვენ მუდმივად გვაქვს კავშირი ჩვენს მენარმეებთან. მონიტორინგი გვებმარება შევისწავლოთ, თუ რამდენად სწორად გავთვალეთ ჩვენი მიზნები და ამოცანები, რამდენად სწორი არჩევანი გაკეთდა ბიზნეს-პროექტების შერჩევისას. რა პრობლემები აქვთ ჩვენს ბენეფიციარებს.“

საინფორმაციო „ქალი და ბიზნესი“- ს შესახებ საუბრისას, ჟურნალის რედაქტორმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო სიახლე იმის შესახებ, რომ გამოცემაში ივეგმება ახალი რუბრიკის დამატება - „თქვენ გისმენთ იურისტი“, სადაც პასუხი გაეცემა ყველა შეკითხვას მენარმოების შესახებ, ვინაიდან იურიდიული ასპექტების ცოდნა გაუადვილებს ჩვენს ბენეფიციარებს საკუთარი საქმიანობის სწორად და სამართლიანად წარმართვას.

როგორც ფონდის იურისტმა, თამარ ფაჩულიამ განაცხადა: „პირველად ვესწრები შეხვედრას, სადაც ორგანიზაცია საკუთარ ბენეფიციარებს აბარებს ანგარიშს როგორ იმუშავა მთელი წლის განმავლობაში. იშვიათია ორგანიზაციები, რომლებიც გამჭვირვალობის მიზნით ღიად და გახსნილად აწვდიდეს ფინანსურ ანგარიშს შეხვედრის მონაწილეებს. ეს არის პასუხისმგებლობის მაღალი მაჩვენებელი და რა თქმა უნდა, მსგავსი ინიციატივა მისასალმებელია“.

ტელეგადაცემების ასისტენტი შეეხო 2009 წელს მწარმე ქალთა ფონდის მიერ მომზადებულ ორ ტელე-სიუჟეტს (ერთ-ერთი მათგანი ნაჩვენები იქნა შეხვედრაზე), რომლებშიც ასახულია ფონდის საქმიანობა. აღინიშნა, რომ ბენეფიციართა ინფორმირებულობის დონის ამაღლება ფონდის საქმიანობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

თავის მხრივ, შეხვედრის მონაწილე მწარმე ქალებმაც გააკეთეს მოკლე ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ. მათ შორის იყვნენ სხვადასხვა წლებში შექმნილი სამუშაო ადგილების ავტორები, რომლებიც მცირე ბიზნესს უძღვებიან მომსახურების, ვაჭრობის და საოჯახო მეურნეობის სფეროში.

გასული წლის სამუშაოს შეჯამების შემდეგ 2010 წლის სამოქმედო გეგმაზე გაგრძელდა საუბარი, მე-

წარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარის ინფორმაციით პროექტი სამწლიანია. რაც გულისხმობს ახალ სატრენინგო პროგრამას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქალთა პროფესიულ მომზადებას. აღინიშნა ისიც, რომ მსგავსი კურსები გაიხსნება ფოთსა და ხუროში (აფხაზეთის მოსაზღვრე სოფელი). დასასრულს, მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა შეიმუშავეს წინადადებები რა სახის ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს:

- ფონდის ბენეფიციარების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა
- მასტერკლასების ორგანიზება ერთნაირი ბიზნესით დაკავებული მწარმე ქალებისთვის
- პროფესიული გადამზადების კურსების გავლის შემდეგ მსმენელებისთვის ტრენინგის ჩატარება მცირე ბიზნესის საფუძვლებში
- ზესტაფონში პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება
- მცირე უპროცენტო სესხების პროგრამის შემუშავება
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება აბაშაში (სამეგრელოს რეგიონი) მცხოვრები დევნილი ქალებისთვის, ვინაიდან მათ არ აქვთ საჭირო ცოდნა მცირე ბიზნესის წარმოებისთვის

შეხვედრის შეჯამებისას კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ მისასალმებელია ფონდის მხრიდან გამოვლენილი ინიციატივა თავისი საქმიანობა გამჭვირვალე გახადოს ბენეფიციარების წინაშე. ეს ხელს შეუწყობს ქალებში მოტივაციისა და სტიმულის გაზრდას, მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

მირანდა გვანცელაძე



ROUND TABLE AT THE FUND OF WOMEN ENTREPRENEURS

Agenda of the Roundtable, organized by the FWE, on 26 February was - reporting of the activities carried out in 2009 and discussion of the action plan for 2010.

Among attendants of the meeting were beneficiaries of the FWE – women entrepreneurs, an audit, a lawyer and representatives of the local NGOs.

Goal of the meeting was – transparency of the FWE's actions and accountability before the beneficiaries, as well as evaluation of the activities performed in 2009 and setting up future action plans.

The Roundtable was opened by chairperson of the FWE Ms. **Meri Gelashvili**. She presented agenda of the meeting and talked about significance of the entrepreneurship and the problems women occupied in small business have to cope with in order to gain economic independence.

"I am delighted to see so many new faces here with us, we grow day by day, which means that new women are employed, new families have increased their income. Increased quantity of you leads to eradication of poverty, strength and independence of more women."

Chairperson of the Fund "Sokhumi", Ms. **Alla Gakharia**, emphasized that after obtaining leadership skills and self-confidence women easily decide to start a business. "Successful businesswomen are the role models for others. More women decide to run own business, expand it and increase income."

Miranda Gvantseladze, coordinator of the FWE, presented a report on the activities carried out by the Fund during the year, followed by financial report, by Neli Kenjia, accountant of the Fund. She acquainted participants of the meeting with the detailed financial report on the expenses that covered the activities performed by the FWE in 2009.

Independent audit presented audit's conclusion and made financial evaluation of the works done by the FWE.

Among the rapporteur of the meeting were instructors of the vocational training courses, who emphasized significance of the works. In their opinion, nowadays it is essential for young people to study computers, English language, accounting, loom knitting and sewing free of charge.

It was underlined that the program was successful



and will be prolonged for the current year as well. Ms. Meri Gelashvili informed the participants that similar courses will be opened in Poti and village Khurcha (village at Abkhazia seacoast) as well.

Diana Kurashvili, project assistant, briefly evaluated the last year: "Truly fruitful works were carried out. Trainings were conducted, new work places were created, which continue to work successfully. We have permanent contact with our businesswomen. Monitoring helps us to identify accuracy of our defined goals and objectives and correctness of the business projects' selection process; and problems our beneficiaries face with. "

Editor of the newsletter "A Woman and Business", shared with news, a new rubric "Lawyer Listens" will be added to the journal, where all the questions concerning the entrepreneurship will be answered by a lawyer.

Tamar Pachulia, the lawyer of the FWE stated: "it is the first time for me to attend this type of meeting, where the organization reports before its beneficiaries about the works implemented during a year. There are very few organizations that provide beneficiaries, with financial report transparently. It is an indicator of high sense of responsibility."

Assistant of the TV-show talked about two TV-plots prepared by the FWE (one of them was showed on the meeting) which described activities carried out by the Fund. As it was mentioned, raising awareness of the beneficiaries is one of the top priorities of the FWE.

The meeting participant businesswomen presented brief report about their activities as well. Among them were the authors of the work places created in various years that operate in the fields of service, trade and family business.

After summarizing the works of the previous years, discussions continued on the action plan for 2010. According to the chairperson of the FWE, old project will be prolonged with the duration of three years, including training program, creation of new work places and vocational training for women. It was mentioned that similar courses will be opened in Poti and Khurcha



(village at Abkhazia seacoast). Finally roundtable participants elaborated proposals on possible activities planned for future:

- Exhibition-sell of the products produced by the FWE beneficiaries;
- Master classes for women occupied in similar businesses;
- Training course in basics of small business for the students who took vocational courses;
- Arrangement of vocational courses in Zestaponi;
- Implementation of low-interest debt program;
- Implementation of educational program in Abasha (Samegrelo region) for IDP women, as they lack necessary skills to start a business

At the end of the meeting, the FWE's initiative to make its actions more transparent for the beneficiaries was welcomed once again. This will induce women to use their capacities as much as possible.

MIRANDA GVANCELDZE

სსოპქეპა უფრო აქვილი მახდა

ნაირა მალანია უკვე 17 წელია წყალტუბოში, სანატორიუმ „მედეაში“ ცხოვრობს. ხშირად ღიზიანდება ამის გამო, მაგრამ მისი მისამართი ორ ნაწილადაა გაყოფილი - მუდმივი და დროებითი. მუდმივი მისამართი აფხაზეთში, გულრიფშის რაიონშია. სანამ კონფლიქტი დაიწყებოდა, როგორც ქალს, ბევრი საზრუნავი არ ჰქონდა, ოჯახს არაფერი აკლდა და შვილებს უვლიდა.

აფხაზეთის ომის შემდეგ მის ცხოვრებაში ახალი, მძიმე და რთული ეტაპი დაიწყო. დღესაც საშინელი განცდები აქვს, როცა იხსენებს, როგორ გამოიარა ფეხით სვანეთის გზა მცირეწლოვან შვილებთან ერთად. როცა ზუგდიდში ჩავიდნენ, ხელისუფლებამ სხვა დევნილებთან ერთად წყალტუბოში გადაიყვანა. მისთვის სულ ერთი იყო სად დარჩებოდა, ოღონდ ცოცხლები დარჩენილიყვნენ. იმედი ჰქონდა, მალე საკუთარ ოჯახში დაბრუნდებოდა.

დროებით მისამართად წყალტუბო, სანატორიუმი „მედეა“ 17 წელია შემორჩა და დღემდე ელოდება იმ დროს, როცა მის მუდმივ მისამართს დაუბრუნდება.

დევნილობის პირველი წლები მის ცხოვრებაში ყველაზე სასტიკი იყო. ბუნებით მეტად მოთხოვნი, აქტიური ქალია, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. ირგვლივ ყველას უჭირდა. მცირე დახმარება, რომელსაც სახელმწიფოსგან იღებდა, საკმარისი არ იყო.

ცდილობდა გამოსავალი ეპოვა. თუმცა, ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იმ ფონზე, როცა არაფერი არ მუშაობდა, რაიმე სახის სამუშაოს პოვნა თითქმის შეუძლებელი იყო.

იმხანად, ყველაზე მეტად პური იყიდებოდა. ნაირამაც გადაწყვიტა პურით ვაჭრობა დაეწყო. იფიქრა, ოჯახში პურს მაინც შემოვიტან, მერე რალაც გამოჩნდება. მისი „ბიზნესი საქმიანობა“ წლობით გაგრძელდა. ნაირა ამ მძიმე წლებს უკვე იუმორით იხსენებს:

„ორი დიდი ჩანთა მქონდა, ხელით შეკერილი, თეთრი ტომრებისგან ვკერავდით. ორივეში პურებს ჩავაწყობდი და მხრებზე ჩამოვიკიდებდი. სიმძიმისგან ისე ვიყავი მოხრილი, თითქმის არ ვჩანდი. წყალტუბოს ბაზართან ვიდექი და დილიდან დაღამებამდე ცხელი პური დამქონდა, ზამთარ -ზაფხულ. ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი სამუშაოა. დაჯდომას ვინ ჩიოდა, დასადგოში ადგილიც არ მქონდა. დახლი რომ დამექირავებინა, მოგება არაფერი დამრჩებოდა. ერთ ადგილას რომ დავმჯდარიყავი პურებს ვერ გავყიდდი, ჩემნაირი ბევრი იყო და ყველა იმას ცდილობდა, კლიენტი როგორმე მასთან მოსულიყო. ხანდახან პოლიციელებიც გამოგვეკიდებოდნენ და დავრბოდი ამხელა ჩანთებით.“

როცა ჩანთა ოდნავ შემსუბუქდებოდა, სულს ვითქვამდი. ჩემი დასვენებაც ეს იყო. თითო პურიდან ხუთი თეთრი მრჩებოდა. დღის ბოლოს რამდენიმე პურს სახლში წასაღებად გადავდებდი და ეს იყო მთელი ჩემი შემოსავალი, ამ „საშინელი ბიზნესიდან“.

განსაკუთრებით მძიმე დღეში ვიყავი ზაფხულში, როცა საშინელ სიცხეში, ცხელი პურით მიწვედა სია-

რული. სახლში ცოცხალ- მკვდარი მივდიოდი, ამდენი ტვირთის თრევისგან ყველაფერი მტკიოდა“.

ნაირას გული წყდება, რომ შვილებს ვერ ასწავლა, ბიჭი მესამე კურსზე იყო მაგრამ უფულობის გამო სწავლა ვერ გააგრძელა, მერე სამხედრო სამსახურში წავიდა, იქიდან რომ მობრუნდა ოჯახი ისევ ძველებურად, გაჭირვებით ცხოვრობდა და სწავლის გაგრძელება ოცნებად დარჩა.

რამდენიმე წლის წინ მენარმე ქალთა ფონდი გამოჩნდა. ტრენინგზე დასასწრებად მოიწვიეს.

„არასოდეს აზრად არ მომსვლია რაიმე სახის ბიზნესი წამომეწყო.“

ყველაფერს ფული სჭირდება. ისე რა უნდა დაიწყო. მე კი არც ფული მქონდა და არც სურვილი - ამდენი წვალებისგან ყველაფრის იმედი საბოლოოდ გადამეწურა. მერე ტრენინგზე მოვხვდი, ვიფიქრე რაიმე ახალს გავიგებ, რალაცას ვისწავლი მეტი“.

ტრენინგზე მართლაც ბევრი რამ გაიგო, სწორედ მაშინ გაუჩნდა იდეა, მომგებიანი საქმე წამომეწყო. კერვა კარგად იცოდა, მაგრამ თუ ის მისი შემოსავლის წყარო გახდებოდა ვერც ამაზე იფიქრებდა.

ტრენინგის შემდეგ გადაწყვიტა მინი-სამკერვალო შეექმნა. შემდეგ ბიზნეს-გეგმა შეადგინა და მენარმე ქალთა ფონდისგან ბიზნესის დასაწყებად გრანტი მიიღო: საკერავი მანქანა, უთო, საუთაო მაგიდა შეიძინა.

სულ მალე ნაირას ცხოვრებამ მიმართულება უკეთესობისკენ შეიცვალა.

თეთრეულის კერვა დაიწყო. თავიდან მზა ნედლეული სანატორიუმებში გაჰქონდა გასაყიდად. კლიენტები ბევრი ჰყავს. უკვე სახლშიც აკითხავენ და შეკვეთებს აძლევენ. შემოსავალმაც მოიმატა.

ის დრო, როცა მძიმე ჩანთებიდან თითქმის არ ჩანდა და უიმედოდ ელოდა ხვალინდელ დღეს, წარსულს ჩაბარდა. ცხოვრება მისთვის უფრო ადვილი და საინტერესო გახდა.

იკა ტვილიანი





LIFE HAS BECOME EASIER

Naira Malania has been living in Sanatorium “Medea” in Tskaltubo for 17 years. The fact that her address is divided in two categories: permanent and temporary irritates her quite frequently. Permanent address is in Abkhazia, Guliripshi district. Prior to the conflict, she did not have many troubles to worry about.

After the war she started a new, hard and heavy period of her life. Remembering of the old times of passing through Svaneti by foot with a small child brings painful emotions. When they reached Zugdidi government, along with other IDPs, brought them to Tskaltubo. Only thing that mattered for her at the moment was to stay alive and hoped would return to her home soon.

Address: Sanatorium “Medea”, Tskaltubo has been a temporary address for 17 years and she till now expects the day when returns to permanent one.

The first years were the most hard for her. Naira is a strong, active woman but could not do anything. Everyone was desperate. Miserable financial aid they received from the government was not sufficient.

She tried to find the solution. However it was not easy at all. When nothing worked to find a job was almost impossible.

At those times bread was sold well, and Naira decided to sell it. Her “business” continued for years, now Naira remembers those times with humor:

“I had two huge, handmade bags, I sewed them from the white sacks, which used to fill with bread and carried them on the shoulders. I used to walk around the Tskaltubo market and sell the hot bread. You cannot imagine how heavy work it was. There was not enough space to stand not to mention sitting. If I rented a counter would be left without profit and if sat on one place then would not be able to sell the bread, as there were a lot of people like me and everybody tried to attract the clients. Sometimes policemen chased after us and I used to run away with my bags on shoulders.

Relief was when my bags became a bit lighter that was my rest. Profit gained from each bread was only five Tetri. At the end of the day I took several breads for home and that was my whole income from the “business”.

Especially hard days I had in summer, when in a heat had to carry the hot bread. Home I returned half alive in terrible pains.”

Naira is very upset that her son was not able to get higher education, he was on the third grade when had to leave university because of the lack of money and went to the military service, after return the family was in the same grim situation and education became unaffordable wish.

Several years later the Fund of Women Entrepreneurs appeared and invited her on training.

“I never thought about starting any type of business. Everything needs money otherwise it is impossible to start. I had neither money nor desire, after all the years I lost hope. Later I attended the training and decided to study something new.”

She actually had learned a lot of things on the training, and there decided to start a profitable business. Naira sewed quite well, but she would never imagine that it may become source for income.

Upon completion of the training course she decided to open a mini sew-shop and drafted a business plan received a grant from the FWE to purchase: sew machine, iron, and table.

Soon Naira’s life changed its direction.

She started to sew sheets. In the beginning Naira used to sell ready products in the sanatorium and now she has a lot of clients who visit her at home and she gets orders, her income has increased.

The times when she used to carry heavy bags on her shoulders, waiting hopelessly for the next day are left in the past and the life has become easier for her.

EKA TVILDIANI

ჩვენი საქმიანობა

შეკვეთავს არ ვუჩივი...

კერვა მისი საყვარელი საქმეა, ბავშვობაში ჯერ თოჯინებს უკერავდა, მერე უფრო სერიოზულად დაინტერესდა ამ საქმით და ძველი კაბების გადაკეთება დაიწყო, კერავდა დროის გასაყვანად, ხანაც მისი სიამოვნებისთვის. თანდათან დაიხვეწა და ახალ-ახალ მოდელებსაც იგონებდა.

სოხუმელი ჯული აგლაძე ზესტაფონში სასტუმრო „იმერეთში“ ოჯახთან ერთად აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ წლების განმავლობაში ცხოვრობდა.

ძალიან უჭირდათ მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, თუ კერვა მისი ოჯახის შემოსავლის წყარო გახდებოდა. თავიდან საქმიანობა ძველი კაბების გადაკეთებით დაიწყო. მერე ნაცნობებმა სთხოვეს კაბის შეკერვა. მერე ნაცნობების ნაცნობებმაც მოაკითხეს, ზოგმა საჩუქარი მისცა სანაცვლოდ, ზოგმა პროდუქტი. ასე თანდათან სახელიც გაითქვა.

პრობლემები ბევრი ჰქონდა, საკერავი მანქანა არ ჰქონდა, არც ის ატრიბუტები რაც ამ საქმიანობაში ძალიან სჭირდებოდა.

ეს ყველაფერი წლების წინ იყო. ახლა მისი ოჯახის მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. საკერავი მანქანაც აქვს და ყველა საჭირო ხელსაწყო, რომელიც ამ პროცესს სჭირდება.

- ეს ყველაფერი მეწარმე ქალთა ფონდის დამსახურებაა. - ამბობს ჯული და ამატებს: „რაც არ უნდა კარგი მკერავი იყო, რაც არ უნდა სერიოზული პროფესიონალი, თუ საკერავი მანქანა არა გივარგა, ვერაფერს შეცვლი, რადგან ხელით ვერ გააკეთებ იმას, რასაც სრულყოფილი ნაშრომი ითხოვს. მოდელი თუ კარგად არის შექმნილი, შესაბამისად, ხარისხიც მაღალი უნდა ჰქონდეს. ხელით ამ ხარისხს ვერ შექმნი“.

მის მოდელებს განსაკუთრებული ქალურობა ეტყობა. ყველა დეტალს დიდხანს ამუშავებს. დილიდან საღამომდე მუშაობს. არ უყვარს როცა კლიენტს რამეს უგვიანებს. რაც არ უნდა მძიმე დღე ჰქონდეს, მთელი ღამის მუშაობაც რომ დასჭირდეს (ასეთი შემთხვევაც ჰქონია) დანიშნულ დროს მოდელი მზადა აქვს.

„შეკვეთებს არ ვუჩივი, ზესტაფონი პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს, ბევრი კლიენტი მოდის, ჩემი შეკერილი ძალიან მოსწონთ, - მეორედ, მესამედ მიკვეთავენ. შემოსავალიც გაიზარდა. მაღლობა ღმერთს, უკეთესობისკენ მივდივარ.“

ჯული აგლაძემ ზესტაფონში პატარა გამოფენაც მოაწყო, საკუთარი ნაშრომები გამოფინა. რეკლამა და მარკეტინგის წესები ტრენინგიდან კარგად ახსოვს. იცის, რომ მსგავსი ღონისძიებები სწორედ მისი საქმიანობისთვისაა საჭირო.

ჯული
აგლაძეციალა
კვანტრიშვილი

სიახლე სხვა კუთხითაც გამოჩნდა: განსახლების პროექტის ფარგლებში, რამდენიმე თვის წინ სასტუმრო „იმერეთში“ მცხოვრები დევნილები კვალითის დასახლებაში, ახალ გარემონტებულ შენობაში გადაიყვანეს.

„სასტუმრო „იმერეთში“ ისეთ საშინელ პირობებში გვინევდა ცხოვრება, კმაყოფილი რატომ არ უნდა ვიყოთ. ერთ პატარა ოთახში ვმუშაობდი, განძრევის საშუალება არ მქონდა, ახლა უკეთეს პირობებში ვარ, უფრო კომფორტულად. ერთადერთი, რაც ამ სასტუმროს დადებითი ჰქონდა, ის იყო, რომ ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და კლიენტებს არ უჭირდათ ჩემთან მოსვლა.“

თავიდან ძალიან შემეშინდა, კვალითის დასახლება ქალაქიდან მოშორებით არის, ვიფიქრე, შეიძლება მუ-

შაობაში ხელი შემეშალოს, ან ვერ მომაგნონ, ან ასე შორს წამოსვლა არ მოუნდეთ მეთქი“.

როგორც თვითონ ვარაუდობდა, პირველი თვე ჰქონდა შეფერხება, სამუშაოც ცოტა იკლო და გადანევიტა კიდეც ქალაქის ცენტრში ოთახი დაექირავებინა სამუშაოდ. მალე ყველაფერი შეიცვალა.

„ძველი კლიენტები დამიბრუნდნენ, ახლებიც დამემატა. სხვაგან გადასვლას აღარ ვგეგმავ. გაცილებით უკეთეს პირობებში ვმუშაობ, იმედი მაქვს მომავალში უფრო გაიზრდება ჩემი შემოსავალი“.

მის საქმიანობაში სიახლეა ისიც, რომ რამდენიმე მოსწავლე ჰყავს და გოგონებს ჭრა-კერვას ასწავლის. ამ პროფესიას ერთგულება და შრომისმოყვარეობა სჭირდება, - ამბობს ჯული და თავის მოსწავლეებსაც იგივეს ასწავლის. მისი თქმით, ბიზნეს-საქმიანობაში მთავარია სურვილი, შრომისმოყვარეობა, რისკი და თუ ეს ყველაფერი კარგად მოირგე წარმატებები უსათუოდ მოგაკითხავს.

შემოსავალი იზრდება

ეკა ბალათურია ღიმილით ისხენებს იმ დღეს, როცა სერიოზულად მოიხიბლა სტილისტის პროფესიით. მის მეგობარს ზესტაფონში სალონი ჰქონდა გახსნილი, ხშირად აკითხავდა მას და სტილისტების საქმიანობას აკვირდებოდა. მერე თანდათან პროფესიული კუთხითაც შეხედა ამ საქმეს. მალე შეატყო საკუთარ თავს, რომ ამ საქმით დაინტერესდა. დახელოვნების კურსები ამავე სალონში გაიარა და საკმაოდ წარმატებულად, ექსპერიმენტი პირველად ახლობლებზე ჩაატარა. ეკას ნამუშევრები თანდათან მოსწონდათ. სხვადასხვა სახის ვარცხნილობებზე გადავიდა.

შემდეგ იდეა გაუჩნდა სალონში დაენყო მუშაობა, მაგრამ ვერ მოახერხა, არც ისე ადვილი აღმოჩნდა სამუშაოს პოვნა. უფრო უკეთესი იდეაც გაუჩნდა, საკუთარი სალონი გაეხსნა, მაგრამ ეს იდეა ოცნებად დარჩა.

როცა მენარმე ქალთა ფონდი ზესტაფონში გამოჩნდა, ტრენინგზე სხვა დევნილ ქალებთან ერთად ეკაც მოიწვიეს. მაშინ გაარკვია, რომ პროგრამა ქალთა ბიზნესის განვითარებას ითვალისწინებდა, და შესაძლებელი იყო გრანტის აღება ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად.

მალე მისი ოცნება რეალობად იქცა. ბიზნეს-გეგმა სწორედ ამ მიმართულებით დაწერა, რომელიც შემდგომ სიცოცხლისუნარიანად ცნეს და შესაბამისი გრანტიც მიიღო.

„ყველაფერი მიყიდეს, რაც სჭირდება ამ საქმიანობას: თმის ფენი, სხვადასხვა ზომის მაკრატლები, სარკე... ეს საქმე ძალიან მიყვარს, განსახლების პროგრამის ფარგლებში ახალი ბინა მივიღეთ. ამავე საცხოვრებელში ჩემი დის ოთახია, რომელიც რამდენიმე წლით მოსკოვში ცხოვრობს, მისი ნებართვით, სწორედ ამ ბინაში მოვანყვე სალონი.“

ეკამ ტრენინგზე მიღებული ინფორმაციიდან ბევრი რამ დაიმახსოვრა, ბევრი რამ გამოადგა. მომსახურების ფასი სხვა სალონებთან შედარებით დაბალია. რაც კლიენტების მოზიდვაში ეხმარება.

„შემოსავალი იზრდება, ეს მცირე ბიზნესია და ბევრი არ არის, მაგრამ მიღებული თანხები ბევრ პრობლემებს მიგვარებს, არსებობა არ მიჭირს, საკუთარი შემოსავალი მაქვს და ეს ძალიან მაძლიერებს შინაგანად, დამოუკიდებლობის შეგრძნებას მიქმნის. მომავალში სხვა გეგმებიცა მაქვს, თმის მოვლის პარალელურად შეიძლება სალონში სხვა ტიპის მომსახურება გავხსნა, სახის, კანის, ფრჩხილების მოვლა.“

ბევრი რამ შეიცვალა

ციალა კვანტრიშვილი აფხაზეთიდან არის დევნილი, ახლა ზესტაფონში, სოფელ თვრილში ცხოვრობს. ქმართან და ორ შვილთან ერთად. ბუნებით ძალიან პრაგმატულია, მოძრავი და საქმიანი. მისი ისტორია ძალიან ჰგავს სხვა დევნილების ისტორიას. ძალიან უჭირდათ, არანაირი შემოსავალი ოჯახს არ ჰქონდა. ხშირად ამბობს: „თუ ადამიანმა მოინდომა, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნებაო. გამოსავალიც მოძებნა. მეზობლის ძროხა აიყვანა მოსავლელად, მესამედს იტოვებდა. „ყოველ დღით ზესტაფონის ბაზარში ვიყავი, მანონი და რძე გამქონდა გასაყიდად. რძე და მანონი უფრო მომგებიანია, ამიტომ ყველს მაშინ ვამზადებდი, თუ ვინმესგან შეკვეთებს ავიღებდი. ფულიც მქონდა, საჭმელსაც ვიტოვებდი ჩემი ოჯახისთვის. ყოველთვის ვნატრობდი საკუთარი ძროხა მყოლოდა, მთლიანი შემოსავალი ჩემს ოჯახს ნამდვილად წინ წასწევდა.“

როცა მენარმე ქალთა ფონდმა ზესტაფონში წინასწარი მოკვლევა გააკეთა, მოკვლევის საფუძველზე ციალაც მოიწვიეს ტრენინგზე. საგრანტო პროგრამა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მოიაზრებდა. ციალა განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდა ტრენინგის თემატიკას, ტრენინგები იხსენებენ, ის დილით ადრე ჩვეულებისამებრ, რძეს და მანონს გაიტანდა ზესტაფონის ბაზარში და იქიდან პირდაპირ ტრენინგზე გამოცხადდებოდა, ისე, რომ არც ერთი დაგვიანება არ ახსოვთ მისგან.

ციალას ოჯახში ბევრი რამ შეიცვალა. მისი ძალისხმევით არ დარჩენილა უყურადღებოდ, მის მიერ შედგენილი ბიზნეს-გეგმა მოიწონეს და მიღებული გრანტით ძროხა იყიდა.

ახლა შემოსავალი მთლიანად მისია. ზიარმა ძროხამაც მოიგო და მეპატრონემ ხბო აჩუქა.

ციალა ფიქრობს, რომ ფინანსურად საგრძნობლად გაიზრდება მისი ოჯახის შემოსავალი, რადგან საკუთარი ძროხა ყავს და ახლა არავის უყოფს შემოსავალს.

OUR ACTIVITY

I AM NOT COMPLAINING ABOUT THE ORDERS

Sewing is her favorite handwork; in childhood Julie used to sew dresses for dolls later got more interested in the work and started to alter old dresses. After some time she mastered the profession and even made her own, new models.

Since war conflict in Abkhazia, Julie from Sokhumi with her family lived in Zestaponi, hotel “Imereti” in extremely poor conditions and could not even imagine that sewing would become a source for their living.

Everything started from altering old dresses. Later friend asked to sew a new dress, followed by friends of friends, some gave presents in change others food. And after some time she became popular.

She had plenty of problems, no sewing machine or the attributes necessary for the business.

All these was years ago. Now the situation has significantly changed. She has both sewing machine and the rest instruments necessary for the process.

- Everything is the merit of the FWE – says Julie and adds: “no matter how good or professional dress maker you are, if you have no normal sewing machine will not be able to change anything, because it is impossible to perform your job perfectly only by hand”.

Models created by her are feminine. She works hard on each detail from morning to night. No matter how hard day she has, she will work whole night, but model is always ready for the fixed date.

“I am not complaining about the orders, Zestaponi is a small town everybody knows each other, many customers come to me, they like clothes I make – so they order for second and third times. Income has increased.”

Julie Agladze organized a small exhibition in Zestaponi, where presented her works. She remembered rules of marketing and advertisement quite well from the trainings and knew that events likes that was profitable for her business.

There was other news as well: in frames of settlement program, IDPs residing in hotel Imereti were resettled in Kvaliti settlement in a new repaired building.

“We lived in terrible conditions in the hotel Imereti. I worked in a tiny room, now live in much better and more comfortable conditions. The only advantage the hotel had was location in the center of the town and it was easy for customers to find me.

In the beginning I was very afraid, settlement Kvalta is quite far from the town, I thought it would be an obstacle for my business, what if clients could not find me or, won’t come so far.”

As she assumed, first month there were problems, work reduced and she decided to rent a room in the center of the town. Soon everything changed.

“Old clients returned and new ones came as well. I do not plan removing from here. I work in much better conditions and hope my income will increase.”

She also teaches several girls. The profession requires loyalty and hard work – she says and teaches the same to her students. As Julie assumes – the most important in business is desire, hard work and risk if you managed all these success is inevitable.

INCOME IS INCREASING

Eka remembers the day with smile, the day when she seriously got interested in the profession of hair stylist. Her friend had a beauty salon in Zestaponi, Eka frequently visited her and watched stylists’ work. Later she took courses in the salon, first experiments she made on her friends. Little by little she improved her skills and started to do different hair dos and became a real professional in the field.

Then she decided to work in a salon, but could not manage to do it, because there were no vacancies. So Eka had another better idea to open her own beauty salon, but it was just a dream.



**Eka
Baghaturia**

When Fund of Women Entrepreneurs appeared in Zestaponi, along with other IDP women, Eka attended the trainings as well. There she found out that program included development of women's business activities which provided with opportunity to obtain a grant for the purpose. Soon her dream became reality as she wrote her business plan which was considered as sustainable and was awarded a grant.

"They bought me everything I needed for the business, hair drier, different sized scissors, mirror ... I love this work very much. I have recently received a new apartment by resettlement program, my sister has a room in the same building, now she lives in Moscow for

several years and under her permission I have opened my salon in there".

Eka learned and used a lot of things from the training. Service fee in comparison with other salons is relatively lower, which helps her to attract more customers.

"Income increases, though it is not a big sum, but helps me to solve many problems; I have my own income, which gives me feeling of strength and independence. I have other plans for future as well, parallel to hair dressing I am going to provide with other services too."

MUCH HAS BEEN CHANGED

Tsiala is an IDP from Abkhazia and now lives in Zestaponi, village Tvrili, with her husband and two children. She is very pragmatic, active and hard worker by nature. Her story is similar to other stories of IDPs. They lived very poorly; family had no any source of income. She often says: "If you desire something you can always find the way to reach it. And she found her way. Tsiala used to take care of a neighbor's cow one third from here was hers. "Every morning I was in Zestaponi market selling Matsoni and milk. I had both money and food for my family but I always wished to have my own cow."

Tsiala was invited on the training after the preliminary study the Fund of Women Entrepreneurs conducted in Zestaponi. Grant program included creation of new work places. Tsiala learned all the materials with great interest, in the mornings she used to take milk and matsoni to the market and from there went directly to the training always on time.

A lot of things had changed in Tsiala's family. Her business plan was accepted and she bought a cow with the grant. Now profit is totally hers. Owner of the shared cow gave her a calf. Tsiala thinks that her income has significantly increased as she has own cow and whole profit from it goes to her family and she does not have to share it with others.



**Tsiala
Kvantrishvili**

NANA JIKIA

თქვენ გიცხედთ იურიდი

ძვირფასო ქალბატონებო! თუ თქვენ, უკვე გადაწყვეტილი გაქვთ ჩაერთოთ მცირე ბიზნესში, ან დიდი ხანია ენევიტ სამენარმეო საქმიანობას, მენარმე ქალთა ფონდის ჟურნალი „ქალი და ბიზნესი“ საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ იურიდიტის კონსულტაციები. თქვენ საშუალება გეძლევთ გამოგვიგზავნოთ თვენთვის საჭირო შეკითხვები და მიიღოთ შესაბამისი რჩევები.

ყოველი ნომრის სტუმარი იქნება იურიტი თამუნა ფაჩულია, რომელიც თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე კომპეტენტურ პასუხებს გაგცემთ.

იმედი გვაქვს ჩვენი თანამშრომლობა შედეგიანი იქნება. მოგვწერეთ, გამოგვცხამაურეთ!

რუბრიკაში „თქვენ გიცხედთ იურიტი“, ამჯერად თამუნა ფაჩულია თქვენს მიერ ხშირად დასმულ შეკითხვებს უპასუხებს.

